# შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№25 (9.690)

11-25 ივლისი 2015 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


# „პოლონეთი მნიშვნელოვანი და საიმედო პარტნიორი გახდება“...



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის პირველი პირების ვიზიტი პოლონეთში დასრულდა. კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელები პოლონური მხარის მიწვევით პომერანიის მხარის პოვიატებში (რაიონებში) იმყოფებოდნენ. დედოფლისწყაროდან დელეგაციის შემადგენლობაში მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ზვიად ჯავახიშვილი, გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და თავმჯდომარის მოადგილე ნუგზარ პაპიაშვილი იმყოფებოდნენ. ისინი მზარდი და მაღალშემოსავლიანი ეკონომიკის მქონე ევროპულ სახელმწიფოსთან მჭიდრო კავშირების დამყარებას დადებით მოვლენად აფასებენ და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებზე საუბრობენ.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი- დღეს, როცა ჩვენი ქვეყანა ევროპული ოჯახისკენ მიისწრაფვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში სტუმრობა და იქაური გამოცდილების გაზიარება. უაღრესად დროული და საინტერესოა პოლონეთის იმ სფეროების გაცნობა, სადაც მათ დიდ წარმატებებს მიაღწიეს. ამ მხრივ გამოვყოფ ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის სექტორებს, რადგან ამ მიმართულებით წარმატების მიღწევის დიდი პოტენციალი ჩვენს რაიონსაც გააჩნია. აღსანიშნავია , რომ ამ ვიზიტით საფუძველი ჩაეყარა დედოფლისწყაროსა და კარტუზის პიოვიატს შორის დამეგობრებას. ოფიციალურ მემორანდუმს კი ხელს, სავარაუდოდ, აგვისტოში მოვაწერთ. აქვე გეტყვით იმასაც, რომ კარტუზთან დაახლოება შესაძლოა ჩვენს მუნიციპალიტეტს ძალიან სასიკეთოდ წაადგეს, რადგან ეს პოვიატი (რაიონი) მთელ მხარეში წარმატებული ტურიზმითა და სოფლის მეურნეობთაა ცნობილი. პომერანიაში იქაური ბიზნეს-ცენტრის ხელმძღვანელსაც შევხვდით. ეს ცენტრი რეგიონში მოქმედ მსხვილ და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს აერთიანებს. ამ შეხვედრაზე ბიზნესმენებმა ჩვენი მუნიციპალიტეტის მიმართ ინტერესი გამოთქვეს. ისინი გეგმავენ ჩვენთან ჩამოსვლას და ბიზნეს გარემოს ადგილზე შესწავლას. სამომავლოდ კი საინვესტიციო პროექტების განხორციელებასაც არ გამორიცხავენ. ასე რომ, დაველოდებით მათ სტუმრობას და პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმას.

ზვიად ჯავახიშვილი-შეიძლება ითქვას, რომ დედოფლისწყაროსა და პომერანიის მხარის თანამშრომლობა საწყის ეტაპზეა, პირველი სამუშაო ვიზიტის ფარგლებში გავეცანით მათ ტრადიციებს, ძირითად ღირებულებებსა და იმ წარმატებულ სახელმწიფო პოლიტიკას, რომელიც პოლონეთში ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზე ხორციელდება . სოფლის მეურნეობის, სამეწარმეო და ტურისტული განვითარების დონით პოლონეთი ევროკავშირის ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანაა, ამიტომაც მათი გამოცდილების გაზიარება უაღრესად მნიშვნელოვანია. პომერანიის სავოევოდო ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს და არსებული კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, ვაზის გაშენება არ ხდება. ისინი ჩვენთან აქტიურ თანამშრომლობას არც ამ სფეროში გამორიცხავენ. რეგიონებში ტურიზმის განვითარება ჩვენი ხელისუფლების ერთ-ერთი პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიმართულებით მისასალმებელია პომერანიის მხარის წარმომადგენელთა მიდგომა, რომლებიც ტურიზმის სფეროში ქართველი ახალგაზრდების ჩართულობის ზრდას გაცვლითი სასწავლო პროგრამების საშუალებით გეგმავენ . მოგეხსენებათ, მარტში დედოფლისწყაროში მყოფმა ბიზნესმენმა სლოვამირ ჩაპლამ ჩვენს რაიონში საინვესტიციო პროექტების განხორციელების სურვილი გამოთქვა. ამ თემაზე ბიზნესმენმა პოლონეთშიც ისაუბრა. ადგილობრივი ბიზნეს-პოტენციალის უკეთ შესწავლისა და საკუთარი გეგმების განხორციელების მიზნით ჩამოსვლას ის კოლეგებთან ერთად უახლოეს თვეებში გეგმავს. მოკლედ, გეტყვით, რომ ჩვენს პირველ სამუშაო ვიზიტს პოლონეთში პოზიტიურად ვაფასებ. ახლო მომავალში პომერანიის სავოევოდოს(მხარის) წარმომადგენლები საპასუხო ვიზიტით გვეწვევიან, რაც ურთიერთთანამშრომლობას კიდევ უფრო გააღრმავებს.

ნუგზარ პაპიაშვილი-პოლონეთში ვნახეთ საცდელი მეურნეობები, სადაც ხდება მარცვლეული კულტურების კულტივაცია და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ერთ ჰექტარზე 10-12 ტონა მარცვლეულის მოყვანა. შევხვდით ამ მეურნეობების ხელმძღვანელებსაც და ისინი ჩვენთან მოვიწვიეთ, რათა გამოცდილება ადგილზე გაგვიზიარონ. მათი გამოცდილების გათვალისწინებისა და სათესლე მეურნეობების განვითარების შემთხვევაში მოსავლიანობის გაზრდა ჩვენთვისაც შესაძლებელი გახდება. დედოფლისწყარო კირქვით და ქვიშა-ღორღით მდიდარი რაიონია. ამიტომაც შეგვიძლია თუნდაც ცემენტის საწარმოს აშენება. პოლონეთში დავათვალიერეთმცირე საწარმოები, რომლებიც ამ ქვეყანაში მრავლადაა. ისინი მაქსიმალურად ცდილობენ ყველა რესურსის გამოყენებას და არც ამ კუთხით იქნება ურიგო პოლონელთა გამოცდილების გაზიარება. გამართული ინფრასტრუქტურა და კავშირგაბმულობა, ეკოლოგიურად სუფთა ენერგოწყაროები-ამ ყველაფრის გარეშე ტურიზმისა და წარმოების განვითარება პრაქტიკულად შეუძლებელია. პომერანია არ დგას მსგავსი პრობლემების წინაშე, მათ ეს ყველაფერი დიდი ხნის წინ მოაგვარეს და შესაძლებლობა აქვთ მეგობარ ქვეყნებსაც გაუწიონ შესაბამისი დახმარება. ისინი დაინტერესდნენ ჩვენი ტურუისტული პოტენციალით და აქტიურ თანამშრომლობას ამ მიმართულებითაც გეგმავენ. ვიზიტის ჩემეული შეფასება კი ასეთია-საინტერესო, ნაყოფიერი, პერსპექტიული... იმედი მაქვს, ჩვენს თანამშრომლობას ქმედითი ნაბიჯები მალე მოჰყვება და პომერანია დედოფლისწყაროსთვის მნიშვნელოვანი და საიმედო პარტნიორი გახდება.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი პომერანიის ქალაქ კვინზინს ჯერ კიდევ 2012 წელს დაუმეგობრდა, თუმცა იმ ეტაპისთვის ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება ვერ მოხერხდა. ამ მიმართულებით აქტიურობის სურვილი დედოფლისწყაროში მყოფმა პოლონეთის დელეგაციის წევრებმა მარტში გამოთქვეს, დედოფლისწყაროს პირველი პირების პოლონეთში მიწვევაც მათი ინიციატივით მოხდა. პომერანიიდან ოფიციალურ სტუმრებს დედოფლისწყარო, სავარაუდოდ, აგვისტოში დაელოდება.

## რატომ გაჭიანურდა ზემო მაჩხაანის წყალმომარაგების მილიონიანი პროექტი?



გვ.3

## საჯარო მოხელეების გადამზადება იწყება

გვ.2

## საბაჟო საზღვარზე გენმოდიფიცირებული პროდუქტის კონტროლი განხორციელდება



გვ.6

## ქველმოქმედება სულიერი სიმშვიდის გარანტია...



გვ.4

# საჯარო მოხელეთა სკოლა ყოველწლიურად დაახლოებით 12 000-14 000 საჯარო მოხელეს გადაამზადებს

საჯარო მოხელეთა სკოლა ერთ წელიწადში ჩამოყალიბდება და ყოველწლიურად დაახლოებით 12 000-14 000 საჯარო მოხელეს გადაამზადებს , - ამის შესახებ ჟურნალისტებს განათლების საერთაშორისო ცენტრის დირექტორმა, ნინო ჭელიძემ განუცხადა.

საჯარო მოხელეთა სკოლის ორგანიზება განათლების საერთაშორისო ცენტრსა და მთავრობის ადმინისტრაციას მთავრობის დღევანდელ სხდომაზე დაევალათ. ნინო ჭელიძის თქმით, საჯარო მოხელეთა სკოლა იქნება საჯარო მოხელეთა რეფორმის ინსტრუმენტი და დაეხმარება საქართველოს, რათა საჯარო მოხელეები ევროპის სამუშაო სტანდარტებისთვის, საზოგადო პოლიტიკისთვის მზად იყვნენ.

"ამ სკოლას ექნება როგორც აუცილებელი, ისე თემატური ტრენინგები. სკოლა შესთავაზებს საჯარო მოხელეებს მომზადების იმ საშუალებას, რომელიც მათ დაწინაურებას შეუწყობს ხელს. ეს სკოლა გაკეთდება მსოფლიოს წამყვან სკოლებთან თანამშრომლობით. სკოლის კურიკულუმის და ადმინისტრაციის გამართვაში ისეთი ორგანიზაციები იქნებიან ჩართულები, როგორებიც არის გერმანიის ფედერალური ადმინისტრაციის სკოლა, პოლონეთის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ადმინისტრაციის სკოლა", - განაცხადა ნინო ჭელიძემ.

საჯარო სკოლა მოხელეთა სკოლა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდება. ჭელიძის ინფორმაციით, ბიუჯეტი დაახლოებით 2 მილიონი ლარი იქნება.

# ირაკლი ღარიბაშვილი - 5 წელიწადში ქვეყანა 500-600 კარგად მომზადებულ ახალგაზრდას მიიღებს

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის შეფასებით, მისი ინიციატივით შექმნილი განათლების საერთაშორისო ცენტრი წარმატებით მუშაობს. აღნიშნულ ცენტრზე პრემიერმა მთავრობის დღევანდელ სხდომაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ 4-5 წელიწადში ქვეყანა 500-600 კარგად მომზადებულ ახალგაზრდას მიიღებს.

"ეს ცენტრი საკმაოდ წარმატებით მუშაობს. საზღვარგარეთის საუკეთესო უნივერსიტეტებში, დაახლოებით 2 წლის განმავლობაში, 200 ბავშვი იქნება გაგზავნილი და ეს პროცესი გაგრძელდება. ვფიქრობთ, რომ 4 - 5 წელიწადში ჩვენ მივიღებთ 500 -600 კარგად მომზადებულ ახალგაზრდას. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი შენაძენი", - აღნიშნა პრემიერმა.

# პროგრამა „ასწავლე საქართველოსთვის" რეგისტრაცია დაიწყო

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა პროგრამაზე „ასწავლე საქართველოსთვის" რეგისტრაცია დაიწყო. დაინტერესებულ პირებს რეგისტრაციის გავლა საჯარო სამსახურის ბიუროს ვებ გვერდზე ჰრ.გოვ.გე 16 ივლისამდე შეუძლიათ.

კონკურსის ფარგლებში 148 ვაკანსიაზე ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული 14 საგნის სპეციალისტი შეირჩევა. შერჩეული კანდიდატები აჭარის, გურიის, იმერეთის, კახეთის, სამცხე-ჯავახეთის, მცხეთა-მთიანეთის, რაჭა-ლეჩხუმის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, ქვემო ქართლისა და შიდა ქართლის საჯარო სკოლებში განაწილდებიან.

ცენტრის ინფორმაციით, კონკურსის მონაწილე უნდა იყოს მინიმუმ ბაკალავრი და უნდა ჰქონდეს მასწავლებლის სერტიფიკატი შესაბამის საგანში ან 60-კრედიტიანი მასწავლებლის მომზადების საუნივერსიტეტო პროგრამის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში დასაქმების შემთხვევაში პროგრამის კონსულტანტ-მასწავლებელი სავალდებულოა ფლობდეს რუსულ, სომხურ ან აზერბაიჯანულ ენას.

აღნიშნული კონსულტანტ-მასწავლებლების ფუნქცია-მოვალეობა იქნება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შესაბამისი საგნის სწავლება, არაფორმალური სწავლების ხელშეწყობა, რაც მოიცავს საგნობრივი წრის შექმნას, დამატებითი გაკვეთილის ჩატარებას, შემეცნებითი და საგანმანათლებლო პროექტებისა და სხვადასხვა აქტივობების განხორციელებას. გარდა ამისა, კონსულტანტ-მასწავლებელმა უნდა იზრუნოს როგორც საკუთარ, ისე ადგილობრივი მასწავლებლის პროფესიულ განვითარებაზე.

როგრამის „ასწავლე საქართველოსთვის" მიზანია კვალიფიციური კადრების მოზიდვის გზით სწავლა-სწავლების პროცესის ხელშეწყობა და განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა საქართველოს ყველა სკოლაში.

# პრემიერმა მცენარეთა მავნე ორგანიზმების დიაგნოსტიკის ლაბორატორია გახსნა

თბილისში მცენარეთა მავნე ორგანიზმების დიაგნოსტიკის ლაბორატორია გაიხსნა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ახალი ფიტოსანიტარული ლაბორატორია პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა სოფლის მეურნეობის მინისტრ, ოთარ დანელიასთან ერთად გახსნა. საერთაშორისო დონის აპარატურითა და სადიაგნოსტიკო საშუალებებით აღჭურვილი ლაბორატორია სოფლის მეურნეობაში მეწარმეებს, ფერმერებსა და გლეხებს შესაძლებობას აძლევს აწარმოოს ხარისხიანი, კონკურენატუნარიანი პროდუქცია, ამავე დროს სახელმწიფოს აქვს რეალური ტექნიკური რესურსი იმისთვის, რომ მომხმარებელი დაიცვას და უვნებელი სურსათით უზრუნველყოს სამომხმარებლო ბაზარი.

"საქართველოში დღეს პირველად გაიხსნა სოფლის მეურნეობის თანამედროვე ლაბორატორია. მინდა აღვნიშნო ამ საქმეში ევროკავშირის წვლილი და დახმარება - ეს პროექტი ქართულმა მხარემ და ევროკავშირმა ერთად განვახორციელეთ. მოგეხსენებათ, რომ აქამდე არც მცენარეთა დაცვის და არც სურსათის უვნებლობის მიმართულებით არანაირი საქმიანობა არ ხორციელდებოდა. ჩვენი მთავრობის პირობებში კი ეს ლაბორატორია გავხსენით. აღნიშნული ლაბორატორია 5 თვეში გაკეთდა და მინდა აღვნიშნო ამ საქმეში მინისტრის დამსახურება. ტემპი მისასალმებელია, უწყება სწრაფად მუშაობს და კარგად აკეთებს საქმეს", - განუცხადა ჟურნალისტებს პრემიერმა ლაბორატორიის გახსნის შემდეგ.

მისივე ინფორმაციით, ორი წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობის დარგში მილიარდი ლარის ინვესტიცია განხორციელდა.

"ეს არის ის დანაპირები, რომელიც ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა გასცა არჩევნებამდე და ეს არის ის საქმე, რომელიც რეალურად ჩანს", - აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისივე შეფასებით, ახლად გახსნილი ლაბორატორია საქართველოში უპრეცედენტო იქნება.

"ეს არის უპრეცედენტო შემთხვევა საქართველოსთვის, ვინაიდან პირველად შეიქმნა მცენარეთა დაცვის მიმართულებით ძალიან მნიშვნელოვანი ლაბორატორია. ამასთან ერთად, ჩვენ დიდ ყურადღებას ვუთმობთ სურსათის უვნებლობასაც, რაც ჩვენი მთავრობის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთ-ერთი გამოკვეთილი პრიორიტეტია. ასე რომ, ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ მაქსიმალურად დავეხმაროთ ფერმერებს, მოსახლეობას, ასევე ვიზრუნოთ ჩვენ მომხმარებლებზე, რომ მათ ჯანმრთელი, ჯანსაღი პროდუქცია მიიღონ", - აღნიშნა მთავრობის მეთაურმა.

მცენარეთა მავნე ორგანიზმების დიაგნოსტიკის მიმართულებით გაძლიერების მიზნით ახალი ფიტოსანიტარული ლაბორატორიის მშენებლობის, თანამდროვე საერთაშორისო დონის აპარატურითა და სადიაგნოსტიკო საშუალებებით აღჭურვის საერთო ღირებულებამ 2 400 000 ლარი შეადგინა. პროექტი ევროკავშირის დახმარებით და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მობილიზებული ფინანსური რესურსით (800 000 ლარი) განხორციელდა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიაში სრულად არის შესაძლებელი ნებისმიერი ფიტოსაკარანტინო თუ სხვა (არასაკარანტინო) საშიში მავნე ორგანიზმების იდენტიფიკაცია. აღსანიშნავია, რომ ლაბორატორიის გახსნას ესწრებოდა ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების მცენარეთა დაცვის ორგანიზაციის გენერალური დირექტორი მარტინ უარდი.

# თინა ხიდაშელი - ჯარში სუიციდის რაოდენობა მალიან მაღალია

საქართველოს თავდაცვის მინისტრის, თინა ხიდაშელის განცხადებით, ჯარში სუიციდისა და თვითდაზიანებების რაოდენობა ძალიან მაღალია. როგორც ხიდაშელმა მეცნიერებათა აკადემიაში, მეცნიერებთან შეხვედრაზე განაცხადა, ეს არის ძალიან მტკივნეული თემა, რომელსაც სჭირდება მეცნიერული კვლევა.

"ჩემთვის მნიშვნელოვანია ბრძოლა ფსიქოლოგიურ ტრავმასთან, რომლის მსხვერპლიც შემდეგ ხდება ჯარისკაცი და რომელმაც შეიძლება თვითმკვლელობით დაასრულოს სიცოცხლე ამ ტრავმის გამო. ძალიან მაღალი გვაქვს სუიციდის რაოდენობა ჯარში. ასევე ძალიან მაღალია თვითდაზიანებების რაოდენობაც. ამას სჭირდება მეცნიერული კვლევა თუ რატომ ხდება ეს, რატომ მიდიან ადამიანები აქამდე, რომლებიც სინამდვილეში ყველაზე უფრო მეტად უნდა იყვნენ მიმართული ასეთი ქმედებების წინააღმდეგ", - განაცხადა ხიდაშელმა.

# ილია მეორე ემიგრანტ ბავშვებს - თქვენ უნდა გახსოვდეთ, რომ ამერიკაში დროებით ხართ, თქვენი სამშობლო საქართველოა

თქვენ უნდა გახსოვდეთ, რომ ამერიკაში დროებით ხართ, თქვენი სამშობლო საქართველოა, - ასე მიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საპატრიარქოში სტუმრად მყოფ ქართველ ემიგრანტ ბავშვებს, რომლებიც ამერიკიდან ჩამოვიდნენ.

საპატრიარქოში მიღებაზე ქართული კულტურის ცენტრ "ფესვების" 47 აღსაზრდელი იმყოფებოდა. პატარებმა პატრიარქთან სტუმრობისას ქართულად სიმღერები შეასრულეს, იცეკვეს, დასაწყისში მათ ანა კალანდაძის ლექსზე შექმნილი სიმღერა "საქართველოო, ლამაზო" იმღერეს.

„თქვენ უნდა გახსოვდეთ, რომ თქვენი სამშობლო საქართველოა. მე ძალიან გამეხარდა, რომ თქვენ ამ სიმღერით დაიწყეთ - "საქართველოო ლამაზო". "როგორც უფალი, სამშობლო ერთია ქვეყანაზედა", თქვენ ყველაფერი უნდა გააკეთოთ იმისთვის, რომ გამოადგეთ სამშობლოს. თქვენ გახსოვთ კენედიმ რა თქვა, "ჩვენ ვფიქრობთ იმის შესახებ, სამშობლომ რა უნდა გაგვიკეთოს ჩვენ, ჩვენ უნდა ვიფიქროთ იმაზე, ჩვენ რა უნდა გავუკეთოთ სამშობლოს". აი, თქვენ უნდა ყველაფერი გააკეთოთ იმისთვის, რომ გამოადგეთ სამშობლოს. მე არაერთხელ ვყოფილვარ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ეს დიდი ქვეყანაა, მდიდარი ქვეყანაა, თავისუფალი ქვეყანაა. ჩვენ ვართ მართლმადიდებელი ქრისტიანები და უნდა დავრჩეთ მართლმადიდებლებად, ჩვენ გადაგვარჩინა ჩვენმა ეკლესიამ. ეკლესია რომ არ ყოფილიყო, ქართველი ხალხი ვერ გადარჩებოდა", - აღნიშნა პატრიარქმა.

უწმინდესმა პატარები დალოცა. პატარებმა სახსოვრად პატრიარქს საჩუქრებიც გადასცეს.

შეხვედრაზე ბავშვებთან ერთად იმყოფებოდნენ ქართული კულტურის ცენტრ "ფესვების" დამფუძნებელი შორენა ბარბაქაძე, საქართველოს ქალთა ბიზნეს ასოციაციის პრეზიდენტი ნინო ქორჩიაშვილი და დები ჭოხონელიძეები.

როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას შორენა ბარბაქაძემ განაცხადა, ქართული კულტურის ცენტრ "ფესვებთან" არსებობს ამავე სახელწოდების სტუდია და ანსამბლი "ფესვები". ანსამბლი 2001 წელს დაარსდა. სტუდიაში სულ 110 აღსაზრდელი ქართულ ხალხურ, საესტრადო სიმღერებსა და ცეკვებს სწავლობს, ასევე ქართულ ინსტრუმენტებზე დაკვრას, ქართულად წერა-კითხვას, ხატვას და სხვა. ანსამბლის წევრები 12 ივლისს გრიბოედოვის სახელობის თეატრში საქველმოქმედო კონცერტს გამართავენ, სიადანაც შემოსული თანხა სტიქიით დაზარალებულ ბავშვებს მოხმარდება. ანსამბლი "ფესვები", თბილისის გარდა, კონცერტებს საქართველოს რამოდენიმე ქალაქში გამართავს.

# საშიში ფერადი რეზინები - ლუმ ბანდსების სკანდალი



პატარა რეზინის რგოლების, ე.წ. ლუმ ბანდსების (გოომ Bანდს) მაღაზიაში გაყიდვა შესაძლოა ბევრ ქვეყანაში აიკრძალოს.

როგორც უცხოური პრესიდან ირკვევა, სპეციალისტები მშობლებს ურჩევენ, თუ მათ შვილებს ფერადი რეზინის დაწნული სამაჯურები უკეთიათ, უსაფრთხოებიდან გამომდინარე, მოახსნევინონ. როგორც აღმოჩნდა, სამაჯურების უმეტესობა საშიშ ტოქსიკურ ნივთიერება ფტალატს შეიცავს, რომელიც ორგანიზმში მოხვედრისას კიბოს იწვევს.

სხვადასხვა ქვეყნის სპეციალისტმა, საჩივრების საფუძველზე, გამოიკვლიეს რეზინის სამაჯურები და დაადგინეს, რომ ფერად რეზინის რგოლებს, რომლებისგანაც ბავშვები სამაჯურებსა და სამკაულებს ქსოვენ, საშიში დაავადებების გამოწვევა შეუძლიათ და მათი გაყიდვა რამდენიმე ქვეყანაში უკვე აიკრძალა.

რეზინის სამაჯურების გამოკვლევა ჯერ არ დასრულებულა. მათ სხვადასხვა მავნე ნივთიერებების შემცველობაზეც იკვლევენ.

აღსანიშნავია, რომ ფტალატი შეიძლება ბავშვებისთვის განკუთვნილ სხვა ნივთებშიც - სათამაშოები, საკანცელარიო და სასკოლო ნივთებში - იყოს. მოსახლეობის დაცვის მიზნით, ირლანდიამ და ბრიტანეთმა ფტალატის შემცველი საქონლის ქვეყანაში შეტანაზე და მათ რეალიზაციაზე უარი განაცხადა.

# რატომ გაჭიანურდა ზემო მაჩხაანის წყალმომარაგების მილიონიანი პროექტი?



გასული წლის დასაწყისში გაირკვა, რომ სოფელ ზემო მაჩხაანის წყალმომარაგების გაუმჯობესებისთვის ხელისუფლებამ მილიონამდე ლარი გამოყო, რითაც სოფლის თავში მდებარე ცენტრალური რეზერვუარების ძირეული რეაბილიტაცია დაიწყო. დედოფლისწყაროს ერთ-ერთ ყველაზე დიდ ქიზიყურ სოფელში ამ პროექტს იმთავითვე საშვილიშვილო უწოდეს, რადგან სოფელში წყლის პრობლემა საკმაოდ მწვავედ დგას და ამდენად, მასშტაბური პროექტი მათი დიდი ხნის ოცნებაა. მრავალი წელია, ადგილობრივები წყლის პრობლემაზე საუბრობენ და გაუსაძლის ვითარებაზე მიანიშნებენ.

ძალიან მალე ტენდერში გამარჯვებული კომპანია „ნოვა“ სამუშაოების არაჯეროვნად შესრულებისთვის და პროცესის გაჭიანურებისთვის სამუშაოებს ჩამოაშორეს. კომპანია ე.წ. „შავ სიაში“ ჩასვეს და ფინანსური სანქციის სახით 88 000 ლარით დააჯარიმეს. შედეგად, ახალი კომპანიის გამოვლენის აუცილებლობა დადგა, ტენდერის გამოცხადება კი თავის მხრივ დამატებით დროს მოითხოვდა. განმეორებითი ტენდერის შედეგად გამოვლინდა გამარჯვებული კომპანია „სანი ემი“, რომელმაც შეფერხებული სამუშაოები გააგრძელა.

თუმცა, სოფელში კვლავ საუბრობენ, რომ პროექტი გაჭიანურდა და სისტემის ამოქმედება, რატომღაც, აგვიანებს. მოსახლეობის პრეტენზიების კვალდაკვალ, გაზეთი „შირაქი“ შეეცადა გაერკვია, ხომ არ აქვს ადგილი ვადების კიდევ ერთხელ დარღვევას და კომპანიის მხრიდან დაუდევრობას. რა გახდა პროცესის გაჭიანურების მიზეზი, ამის გასარკვევად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელს ნიკოლოზ ჯანიაშვილს ვესტუმრეთ.

გამგებელი ამბობს, რომ ზემო მაჩხაანის წყალმომარაგების მილიონიან პროექტში ვადების დარღვევას ადგილი არ აქვს და პროექტი აქტიურ ფაზაში გადავიდა. განმარტებით, ექვს კილომეტრიანი ქსელი უახლოეს მომავალში ამოქმედდება. სამუშაოების მწარმოებელმა კომპანიამ კი ყველა ვალდებულება შეასრულა.

„ძალიან მალე, უახლოეს კვირებში ზემო მაჩხაანს წყალი მიეწოდება უკვე ახალი რეზერვუარიდან. ცნობილია, რომ წყლის მიწოდების საკითხი რეგიონებში „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ დაქვემდებარებაშია. შესაბამისად, ამ ეტაპზე მიმდინარეობს მაჩხაანში მოწყობილი რეზერვუარის ამ კომპანიისთვის გადაცემის პროცედურა, რათა შემდგომში მისი მუშაობა წყალმომარაგების კომპანიამ უზრუნველყოს. ჩამოსულები იყვნენ სპეციალისტები და მათ წარმომადგენლებს მომავალ კვირაშიც ველოდებით.

საკმაოდ დიდი თანხის სამუშაოები ჩატარდა, ექვს კილომეტრზე მოხდა სადაწნეო მილის დაფენა, წყლის ძველი რეზერვუარების გარემონტება. მოგეხსენებათ, კომპანიისთვის მისი გადაცემა და ექსპლუატაციაში შესვლა ცალკეულ წვრილმან პროცედურებს მოითხოვს. ამასთან, წყალი აუცილებლად უნდა დაიქლოროს, რომ მოსახლეობას სუფთა წყალი მივაწოდოთ. ასევე, იქ უნდა დაინიშნოს სპეციალური თანამშრომლები, რომლებიც რეზერვუარის ფუნქციონირებას უზრუნველყოფენ. ამიტომ, ზემო მაჩხაანელებს მინდა ვთხოვო, რომ სულ ცოტა მოთმინებაც გამოიჩინონ და ძალიან მალე, უახლოეს კვირებში, მაჩხაანს წყალი ახალი რეზერვუარიდან მიეწოდებათ.

რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, ხომ არ არღვევს კომპანია პროექტით გათვალისწინებულ ვადებს, გეტყვით რომ, კომპანიამ სამუშაოები ვადების დაცვით შეასრულა. რეზერვუარის და სადაწნეო მილის რეაბილიტაციის დროს კომპანია ვადებში ჩაეტია და სამუშაოები ჩვეულებრივად დაასრულა. თუმცა, პარალელურად მიმდინარეობდა სხვა სამუშაოებიც. შიდა დაქსელვა და ა.შ. იმისათვის, რომ სისტემას გამართულად ემუშავა, საჭირო გახდა მძლავრი ტრანსფორმატორის დადგმა, რათა შედარებით ძლიერი დენი მიეწოდოს. როგორც ცნობილია, რეზერვუარის რეაბილიტაცია გამგეობამ შეასრულა, თუმცა ახლა ობიექტი წყალმომარაგების კომპანიას გადაეცემა და როგორც ვიცი, გარკვეულ ფინანსებს კომპანიაც გამონახავს, რომ დროულად ამუშავდეს. შეიძლება ითქვას, რომ კომპანიისთვის გადაცემას ველოდებით,“ — აღნიშნა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

ილია მარტყოფლიშვილი

# როგორია დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა სტატისტიკა

დაცული ტერიტორიების სააგენტოს მონაცემებით, 2014 წელს ყველაზე მეტი ვიზიტორი 91 672 ადამიანი, პრომეთეს მღვიმეს ჰყავდა.

დაცულ ტერიტორიებიდან ვიზიტორთა რაოდენობით მეორე ადგილზეა სათაფლია, 67 287 დამთვალიერებლით. შემდეგ მოდის ყაზბეგის ეროვნული პარკი 64 642 ვიზიტორით. დედოფლისწყაროში მდებარე ვაშლოვანის ნაკრძალი ჩამონათვალში ტურისტების სიმრავლის კუთხით მეთერთმეტე ადგილს იკავებს.

თუმცა, როგორც ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაში გვითხრეს, მონაცემებით უკმაყოფილო არ არიან და შედეგი გაუმჯობესებულია. მათი თქმით, გასულ წელთან შედარებით, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ვაშლოვანის ნაკრძალში დამთვალიერებელთა რიცხვის ზრდა თვალშისაცემია.

როგორც ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ნინო სეთურიძემ „შირაქს“ განუცხადა, გასული წლის პირველ ნახევარში 4 588 ვიზიტორი ეწვია, წელს ანალოგიურ პერიოდში კი მათი რიცხვი 4 923-მდე გაიზარდა. მან რედაქციას შესაბამისი გრაფიკული სქემაც მოაწოდა.

რაც შეეხება დანარჩენ დაცულ ტერიტორიებს 2014 წლის ვიზიტორთა სტატისტიკა ასე გამოიყურება:

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი — 49 549.

ლაგოდეხი -39417.

მტირალას ეროვნული პარკი — 22 968.

თბილისის ეროვნული პარკი — 20 960.

კოლხეთის ეროვნული პარკი — 17 699.

თუშეთის ეროვნული პარკი — 9 786.

ალგეთის ეროვნული პარკი — 8 828.

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები — 8 709.

ქობულეთის დაცული ტერტიტორიები — 8 426.

კინტრიშის დაცული ტერიტორიები — 3 896.

ოკაცეს კანიონი — 3 165.

ჯავახეთის დაცული ტერიტორიები — 2 305.

ჭაჭუნას დაცული ტერიტორიები — 1 648.




# ბაღების გაშენებასა და სანერგე მეურნეობების შექმნაზე განაცხადების მიღება 1 აგვისტოდან დაიწყება

სასოფლო-სამეურნეო მიწების ათვისების მიზნით, მთავრობა პროექტ „დანერგე მომავალის“ მეორე ეტაპს იწყებს. პროექტი ორ კომპონენტს, ბაღების გაშენებას და სანერგე მეურნეობების შექმნას მოიცავს. პროგრამაში მონაწილეობის მსურველებს თანადაფინანსების მისაღებად სააგენტოში განაცხადების წარდგენა 1-ლი აგვისტოდან შეეძლებათ.

პროექტი „დანერგე მომავალი“ თბილისის, რუსთავის, ბათუმის და ფოთის გარდა ყველა მუნიციპალიტეტს მოიცავს.

მრავალწლიანი კულტურების ბაღების გაშენების კომპონენტის ფარგლებში ფინანსური დახმარება ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ბაღის გაშენების ხარჯების თანადაფინანსებას: მრავალწლიანი კულტურის ნერგების ღირებულების 70%; სარწყავი სისტემის ღირებულების - 50%;

სასოფლო სამეურნეო კოოპერატივები მიიღებენ დამატებით შესაწამლ აპარატებს საჩუქრად.

ბენეფიციარი უნდა ფლობდეს საკუთრებაში ან მიღებული უნდა ჰქონდეს სახელმწიფოსგან გრძელვადიანი იჯარით მიწის ნაკვეთი, რომლის ფართობი შეადგენს არანაკლებ 5 ჰექტარს. დადგენილია გამონაკლისი მუნიციპალიტეტების სია, სადაც მიწის ნაკვეთის ფართობი შეიძლება შეადგენდეს 1 ჰექტარს და ზემოთ. სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების შემთხვევაში, კოოპერატივში შემავალი წევრების მიწის ნაკვეთები უნდა იყოს მომიჯნავე;

ბენეფიციარს უნდა გააჩნდეს საკუთარი თანამონაწილეობისთვის აუცილებელი თანხა ანგარიშზე (ნერგების ღირებულების არანაკლებ 30% და სარწყავი სისტემის ღირებულების არანაკლებ 50%);

სანერგე მეურნეობის თანადაფინანსების კომპონენტის ფარგლებში ფინანსური დახმარება ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ სანერგე მეურნეობის შექმნის ხარჯების თანადაფინანსებას. სახელმწიფოს მიერ დაფინანსდება სანერგე მეურნეობის შექმნის ღირებულების 50% (არაუმეტეს 150 000 ლარისა);

კომპონენტის ფარგლებში დაფინანსების მისაღებად ბენეფიციარი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: ბენეფიციარს უნდა გააჩნდეს სანერგე მეურნეობის შექმნის დეტალური პროექტი და კვალიფიკაცია.

ბენეფიციარი უნდა ფლობდეს საკუთრებაში მიწის ნაკვეთს, ან მიღებული ჰქონდეს სახელმწიფოსაგან გრძელვადიანი იჯარით მიწის ნაკვეთი, სადაც იგეგმება სანერგე მეურნეობის შექმნა, მიწის ნაკვეთი რეგისტრირებული უნდა იყოს საჯარო რეესტრში ერთ ნაკვეთად.

დაფინანსების მისაღებად ბენეფიციარმა უნდა წარადგინოს სანერგე მეურნეობის შექმნის დეტალური პროექტი სააგენტოში (პროექტის წარმოდგენა უნდა განხორციელდეს სააგენტოს მიერ შემუშავებული სტანდარტის მიხედვით), თანმდევ დოკუმენტაციასთან ერთად, რის შემდგომაც სააგენტო განიხილავს პროექტს და პროექტის პირობებთან შესაბამისობის შემთხვევაში წარუდგენს დასამტკიცებლად „თანადაფინანსების კომიტეტს“. პროექტის დამტკიცების შემთხვევაში სააგენტო განახორციელებს სანერგე მეურნეობის დაფინანსებას;

ორივე კომპონენტის ფარგლებში, ყველა დაფინანსებულ ბენეფიციარს, ტექნიკური დახმარების ფარგლებში, ჩაუტარდება ტრენინგები.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, პროექტის განხორციელებისათვის ორი წლის განმავლობაში 15 მილიონი ლარი დაიხარჯება. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია 1 000 — 1 200 ჰექტარზე თანამედროვე ტიპის ბაღის და 30—40 ახალი, თანამედროვე სანერგე მეურნეობის გაშენება.

# ქველმოქმედება სულიერი სიმშვიდის გარანტია...

4 ივლისს დედოფლისწყაროს რაიპოლიკლინიკას თბილისის ჟორდანიას სახ. რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექიმი-რეპროდუქტოლოგები და მეან-გინეკოლოგები სტუმრობდნენ. მათ ჩაატარეს გამოკვლევები, რომლებიც შეეხებოდა ქალთა პრექლიმაქტერულ ასაკს, რეპროდუქციულ პრობლემებს, გინეკოლოგიურ დარღვევებს და სხვადასხვა სახის ინფექციურ დაავადებებს. ჩვენთან სტუმრად იმყოფებოდნენ და აქციას უძღვებოდნენ ჟორდანიას სახ. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ექიმი-რეპროდუქტოლოგი, მეან-გინეკოლოგი, მედიცინის დოქტორი თამარ გულბანი და ამავე ინსტიტუტის ექიმი-რეპროდუქტოლოგი, მეან-გინეკოლოგი, მედიცინის დოქტორი დიანა ჭანუყვაძე. მათ დღის განმავლობაში 50-მდე პაციენტი მიიღეს და შესაბამისი გამოკვლევები ჩაუტარეს. აქციის ორგანიზატორი გახლდათ ჩვენი რაიონის საყოველთაო ჯანდაცვის მონიტორი და რეპროდუქტოლოგი, მეან-გინეკოლოგი ნათელა თამაზაშვილი და ჟორდანიას რეპროდუქციის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი სამკურნალო დარგში ლიკა ნადარეიშვილი, მფლობელები:იოსებ ამბოკაძე, ირაკლი აბულაძე და ირაკლი ტოგონიძე.

– ჩვენი სამედიცინო ცენტრი მოიცავს ბავშვთა ასაკიდან კლიმაქტერულ ასაკამდე პერიოდს ქალებში. გვაქვს უმაღლესი სტანდარტებით აღჭურვილი, თანამედროვე კვლევითი ლაბორატორიები და უშვილო წყვილებს ვეხმარებით ხელოვნური განაყოფიერების პროცესების უდანაკარგოდ განხორციელებაში, საქართველოში მხოლოდ ჩვენს ინსტიტუტს აქვს ბავშვთა განყოფილება, გვაქვს უდიდესი გამოცდილება და სურვილი გვქონდა, ერთი დღით თქვენი რაიონის მოსახლეობისთვისაც გაგვეწია უფასო მომსახურება ასეთ აქციებს ჩვენ ხშირად ვატარებთ სხვადასხვა ქალაქებსა თუ სოფლებში და ამ სახით უდიდეს სულიერ სიმშვიდეს ვიძენთ. დღეს თქვენთან რაიმე განსაკუთრებულ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია, დაფიქსირდა პაციენტისთვის მანამდე უცნობი ერთი ონკოლოგიური ფაქტი, ჯერ ნაადრევ ეტაპზე, ერთიც 30 კვირის ორსულობა, კლიმაქტერული ასაკის გამო დედისთვის მანამდე უცნობი, ხოლო დანარჩენი - ჩვეულებრივ ინფექციებს და სხვადასხვა სახის არცთუ საგანგაშო ქალურ დაავადებებს ჰქონდა ადგილი, -ამბობს ჩვენთან საუბარში ქალბატონი თამარი.



მთელი დღის მანძილზე ექიმებს გვერდიდან არ მოსცილდა და ექოსკოპიური გადაღებები ჩაუტარა პაციენტებს პოლიკლინიკის ექიმმა - რადიოლოგმა ცისანა ლეკაშვილმა. ქალბატონი ცისანასთვის სხვადასხვა საქველმოქმედო აქციებში მონაწილეობა და ადამიანებისთვის უფასო დახმარების გაწევა ჩვეულებრივი მდგომარეობაა, მას წლების მანძილზე უამრავი მადლიერი და ნდობით განმსჭვალული პაციენტი დაუგროვდა, მის ყურადღებიანობას და თითოეული პაციენტის გულდასმით დათვალიერებას საბოლოოდ დადებით შედეგებამდე მიჰყავს უამრავი მათგანი.

დილიდანვე აქტიურად იყო ჩართული აქციის მუშაობაში პოლიკლინიკის მთავარი ექიმი ხათუნა აგლაძე. ვინც ქალბატონ ხათუნას კარგად იცნობს, დამეთანხმება, რომ მისთვის ადამიანურ ღირებულებებში ყველაზე მაღლა გაჭირვებულისადმი ხელის მიშველებაა არამარტო სამედიცინო სფეროში, არამედ ნებისმიერ ასპექტში, მას უამრავი გაჭირვებული ადამიანი ჰყავს წლების მანძილზე სხვადასხვა მძიმე სიტუაციიდან გამოყვანილი, როგორც ეკონომიურად, ასევე სამედიცინო კუთხით, მისთვის ქველმოქმედება ცხოვრების წესია ჯერ კიდევ სკოლის ასაკიდან.



ჩვენ ვესაუბრეთ საქველმოქმედო აქციის მთავარ ორგანიზატორს ნათელა თამაზაშვილს და რამოდინემე კითხვით მივმართეთ მას:

**- როგორც ვიცით, ძალიან ხშირად ტარდება ასეთი სახის საქველმოქმედო აქციები ამ ბოლო ორი წლის მანძილზე, იქნებ უფრო კონკრეტულად გვესაუბროთ და აგვიხსნათ ამის თაობაზე?**

-დიახ, თითქმის 30-მდე საქველმოქმედო აქცია მოვაწყეთ ამ ორწლინახევრის მანძილზე, ამაში აქტიურად გვეხმარება მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო. თავდაპირველად "წითელი ჯვარი" ჩამოგვყავდა და მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში გქონდა გასვლითი აქცია ორ-ორჯერ. მოსახლეობის 80%-ზე მეტმა მიიღო მონაწილეობა, ანუ, ვისაც კი სურვილი გააჩნდა, არავინ დარჩენილა გამოკვლევის გარეშე. ამჯერად არიან ჩამოსულები, პროფილის ექიმები, პირველად რაც ჩემი ძალიან დიდი სურვილიც გახლდათ. ხალხს უჭირს ცხოვრება, მითუმეტეს თბილისში ჩასვლა და რეპროდუქციულ-გენიტალური დაავადებების გამოკვლევები სოლიდურ თანხებთან არის დაკავშირებული, გვაქვს სერიოზული დემოგრაფიული პრობლემები, როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე ჩვენს რაიონშიც, არის ძალიან გახშირებული საშვილოსნოს, საკვერცხეებისა და სარძევე ჯირკვლების ავთვისებიანი სიმსივნეები, სწორედ ეს გახლდათ მიზანი ამ მაღალი კლასის პროფესიონალთა მოწვევის, თუმცა, ჩვენ სექტემბერში ვგეგმავთ უფრო ფართომასშტაბიან აქციას, სადაც მოწვეული გვეყოლებიან როგორც რეპროდუქტოლოგები, აგრეთვე, ნეონატოლოგთა ჯგუფები და სხვადასხვა პროფილის ექიმები. ძალიან მინდა, ჯანმრთელი და ძლიერი თაობები გვყავდეს, მინდა, გამრავლდეს ჩვენი ერი. მინდა, ვისაც რით შეგვიძლია, მხარში ამოვუდგეთ, მოვეფეროთ ერთმანეთს და ჩვენი წილი აგური დავდოთ ჩვენი ქვეყნის განვითარებასა და წინსვლაში.- ასე დაასრულა ჩვენთან საუბარი ქალბატონმა ნათელამ და კიდევ უამრავ უფასო გამოკვლევებს დაგვპირდა.

ამ აქციებს მალე ჩვენი ახალი, თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი, მაღალკვალიფიციური კადრით დაკომპლექტებული საავადმყოფოც დაემატება და ჩვენი მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაც ბევრად გაუმჯობესდება.

ელზა ხარაშვილი

# ქორწინების ტრადიციები ქიზიყში...



ქორწინების მრავალმა ტრადიციამ საუკუნეებს გაუძლო და დღემდე მოაღწია, როგორც ერის სულიერი ცხოვრების მაჩვენებელმა. ივანე ჯავახიშვილი ამბობდა -ქორწინების შესახებ მხოლოდ ქრისტიანობის დამკვიდრების შემდგომი ცნობები მოგვეპოვებაო.-ამ სიტყვებით მიმართეს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლებმა დალი ბაღაშვილმა და ნინო პოპიაშვილმა სათნოების სახლის ბენეფიციარებს, შემდეგ კი ძალიან დაწვრილებით შეახსენეს მათ ქიზიყში ქორწინების ტრადიციებისა და ადათწესების, მზითვისა თუ ქორწილ-ნიშნობების შესახებ. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, თუ დედამიწის ერთ მხარეში ერთსქესიანთა ქორწინებას აკანონებენ, ჩვენთან, ქიზიყში ჯერ კიდევ ძველ ადათ-წესებს მიაგებენ პატივს, იხსენებენ პაპა-ბებიების მონათხრობს და პარალელს ავლებენ ძველსა და ახალ ტრადიციებს შორის.

სათნოების სახლის ბენეფიციარები სიხარულით შეხვდნენ მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელთა ამ ინიციატავას-წინაპართა ტრადიციების შეხსენებისა და მათზე საკუთარი აზრის გამოთქმის თაობაზე. მათ სიამოვნებით განავრცეს თემა და ბევრმა მათგანმა სიამოვნებით გაიხსენა არამარტო საკუთარი ჯვრისწერის, არამედ მშობლების, პაპაბებიების მიერ მოყოლილი ქორწილის ამბები.

სათნოების სახლის დირექტორმა მარინა ტოკლიკიშვილმა მადლობა გადაუხადა მუზეუმის თანამშრომლებს ბენეფიციარების ასე გახალისებისა და საინტერესო დღის მიძღვნისათვის.

ელზა ხარაშვილი



# ნაგვად ქცეული კარმიდამო ცხოველების სიმყუდროვისთვის?!

დედოფლისწყაროს შემოსასვლელში მდებარე ერთ-ერთი ტერიტორია, სადაც ნაგვის კორიანტელი შეუნიღბავი თვალითაც კარგად ჩანს, მუდმივად იქცევს გამვლელის ყურადღებას. მართალია ზაფხულობით შეფოთლილი არემარე კარგად ნიღბავს დაბინძურებულ გარემოს, მაგრამ, რაც არ უნდა ვიტყუოთ თავი, ჩვენ ხომ ვიცით, რომ იქ ანტისანიტარიის ბუდეა, რომელიც, გარდა იმისა, რომ ეპიდემიის საფრთხედ შეიძლება იქცეს, ჩვენი რაიონის იმიჯზეც ცუდად აისახება.

უამრავი ცელოფნის პარკი, შუშისა და პლასტმასის ბოთლები, საბანი, ნალი და ვინ ჩამოთვლის კიდევ რა ნივთი აღარაა მოქცეული ადგილში, რომლის იქით საზაფხულო კაფეებია, მეორე მხარეს კი, ავტოგასამართი სადგური. სანაგვედქცეული ტერიტორია მუდმივად იწვევს მოქალაქეების გულისწყრომას და გამვლელ-გამომვლელთა პროტესტს იმიტომაც, რომ ის რაიონის შესასვლელშია და მას ყველა ხედავს. აღნიშნული ფაქტის გამო სხვადასხვა პერიოდში არაერთი მოქალაქე მოგვმართავდა და მუდმივად ითხოვდა რედაქციისგან ამ საკითხისადმი ყურადღების მიპყრობას. ერთხანს თავს ვიკავებდით, რადგან გვეგონა, ახალი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შემდეგ ეს ადგილიც გასუფთავდებოდა, მაგრამ, როგორც ვხედავთ, პრობლემა კვლავ არსებობს. მოქალაქეები ხშირად სვამენ კითხვას: **- რატომ არ ჯარიმდებიან ის ორგანიზაციები ან ადამიანები, რომლებიც ამ ტერიტორიის დაბინძურებაში არიან შემჩნეულნი?** ჩვენმა გაოცებამ მოლოდინს გადააჭარბა, როდესაც გავიგეთ, რომ აღნიშნული ნაგვის, ასე დავარქმევდით „ბუდე", კერძო პიროვნების საკუთრება ყოფილა.

ზაფხულია და ნაგავსაყრელი გზიდან ისე აღარ ჩანს, როგორც ზამთარში.უკვე ფოთლებში შემალულ ნაგავსაყრელთან ვჩერდები და დიდი სიფრთხილით შევდივარ. ეს ადგილი ვინმეს ეზოდ არ შეიძლება ჩაითვალოს, ეს ფეხაუქცეველი ნაგვის საშიში ზონაა. უმესერო ადგილას მოჩანს ნანგრევებადქცეული სახლი, თუ ამას შეიძლება სახლი დავარქვათ, მის ეზოში კი იმაზე უარესი მდგომარეობაა, ვიდრე გზიდან ჩანს. ვფრთხილობ, ფეხი არაფერს წამოვკრა და ამიტომ ვჩერდები, იქ უბრალოდ ნორმალური ადამიანის შესვლა შეუძლებელი და წარმოუგენელია. ნაგავსაყრელი მიუსაფარი შინაური ცხოველების თავშესაფრადაა ქცეული. ამიტომ, ამ ტერიტორიაზე ბავშვების გაშვება მშობლების თავსატეხად შეიძლება იქცეს, არაა გამორიცხული, რომ ისინი ცოფის გავრცელების საშიშროების წინაშე აღმოჩნდნენ.



**დედოფლისწყაროს დასუფთავების სამსახურის „სერვისი 2007"-ის უფროსი** დავით დულაშვილი **აცხადებს:**

-„თქვენს მიერ დასახელებულ ტერიტორიას კარგად ვიცნობ, ჩვენმა სამსახურმა იცის, რა მდგომარეობაცაა იქ და დიდი ხანია ვცდილობთ, გამოსავალი ვიპოვოთ, მაგრამ სამწუხაროდ კერძო საკუთრებასთან გვაქვს საქმე. მიუხედავად ჩვენი მცდელობისა, მეპატრონე ქალბატონი დასუფთავების სასტიკი წინააალმდეგია. მას მიაჩნია, რომ მისი ძაღლები მსგავს გარემოში კომფორტულად გრძნობენ თავს. ცხოველების უფლებებს კი, მოგეხსენებათ, ვერ დავარღვევთ. აღნიშნული ადგილის ანტისანიტარიული მდგომარეობა სამწუხარო რეალობაა, რომ გაივლით, ვერც იფიქრებთ, თუ იქ სახლი არსებობს და ვინმე ცხოვრობს, უბრალოდ მესერიც არა აქვს. ამიტომ ტოვებს ასეთ შთაბეჭდილებას, რომ საზოგადოებრივი ადგილია, მაგრამ, თუ დააკვირდებით, პატარა რუსული სახლი დგას, სწორედ მისი საკუთრებაა ეს ადგილიც და ეს ქალბატონი უფლებას არ გაძლევს, რომ დავასუფთაოთ. ალბათ, დანახული გეყოლებათ მაღალი, რუსი ქალი უამრავი ძაღლით გარემორტყმული, რომელიც დადის და ნაგვის ურნებში იქექება. თუ რამეს პოულობს, ყველაფერს სახლში ეზიდება და თავის ცხოველებს აჭმევს. სწორედ იგი და მისი თავისებურება გახლავთ ამ პრობლემის თავი და თავი."



ასეთი ქალბატონი რაიონში მართლაც დაიარება, მე მასთან ნამდვილად ვერ მოვახერხე დაკავშირება, ვერც ჩავწერე, რადგან იგი თითქოსდა ასკეტურ ცხოვრებას ეწევა და საზოგადოებისგან განმარტოვებულია. ის ხშირად ქუჩაშია, ხოლო სახლში თითქმის არასოდესაა.

რაიონში ახალი ევროსტანდარტების ნაგავსაყრელი გაიხსნა, ამის ფონზე ნამდვილად არასასიამოვნოა, რომ რაიონის შესასვლელში ამგვარ სურათს ვხვდებით. თუ რა გამოსავალს იპოვის ამაზე ხელმძღვანელობა, უცნობია, თუმცა ცალსახაა, რომ საჯარიმო სანქცია ნამდვილად უნდა დაეკისროს კერძო პირს, რომელიც არათუ თავად ცდილობს დაასუფთავოს, არამედ დასუფთავების სამსახურსაც კი არ აძლევს იმის უფლებას, რომ გაიტანოს ნაგავი ამ ტერიტორიიდან.

ლალი მეხრიშვილი

# გარემოზე ზრუნვა თითოეული ჩვენგანის მოვალეობაა

ხშირად გვინახავს ჩვენს გარშემო დაბინძურებული ადგილები.

სამწუხაროდ, ასეთ სურათებს ისე შევეჩვიეთ, რომ აღარც კი გვაწუხებს მათი ხილვა. სოფ. გამარჯვებასთან ბურღის წყალი ყველა დედოფლისწყაროელმა კარგად იცის. თითქმის მთელი რაიონის მოსახლეობა ამ წყაროს წყალს იყენებს დასალევად.






ამბობენ, რომ მას სამკურნალო თვისებები აქვს და თირკმელებში კენჭებს შლის. რამდენადაც ხშირად სარგებლობს მოსახლეობა ამ წყლით, იმდენად მგონია, რომ ყველასგან მიტოვებულია და არ ვზრუნავთ მასზე. ხშირად ხალხი წყლის აღების შემდეგ, უსარგებლო ბოთლებს და სხვა ნარჩენებს იქვე ყრის. გარშემო ტალახი და ანტისანიტარიაა. მინდა, თხოვნით მივმართო ყველას, რაიონის ხელმძღვანელობასაც და მოსახლეობასაც, მოვაწესრიგოთ წყაროს მიმდებარე ტერიტორია, გავასუფთავოთ ნარჩენებისაგან.



პირადად მეც სიამოვნებით მივიღებ ამ აქციაში მონაწილეობას. მინდა, გალამაზდეს ეს ადგილი, ისე, რომ ადამიანის თვალსა და გულს გაუხარდეს. იქნებ შემოილობოს, ხოლო საქონლის დასალევად, ცოტა მოშორებით გაკეთდეს ავზი. კარგი იქნება, თუ განათდება კიდეც. დიდი ხანია ვფიქრობ, კარგი იქნებოდა, თუ გამგეობის ხელშეწყობით შეიქმნებოდა გარემოს დამცველთა ორგანიზაცია (ჯგუფი), რომელშიც გაერთიანდებოდნენ ახალგაზრდები, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი ბუნება, რომლებიც იზრუნებდნენ რაიონის დაბინძურებული ტერიტორიების მოწესრიგებაზე, დასუფთავებაზე და სისუფთავის შემდგომ დაცვაზე. მინდა, ყველა ჩვენგანს ცხოვრების წესად გვექცეს არა მარტო საკუთარი საცხოვრებელი სახლების და ეზოების, არამედ დედამიწის სისუფთავეზე ზრუნვა.

**მასალა მოამზადა**
გიორგი ხაჩიაშვილმა.

# დროა, გავითავისოთ და შევასრულოთ

ეს პრობლემა ახალი არ არის. 45 წელია, ამ ქალაქში და ამ ქუჩაზე ვცხოვრობ და ხალხს ეს საკითხი სულ აწუხებდა. ეს გახლავთ ეგრეთ წოდებული „შებილის“ მიმდებარე ტერიტორიაზე თვითნებური



ნაგავსაყრელის არსებობა.ეს საკმაოდ დიდი ღრმული, რომელიც ალადაშვილის და ევდოშვილის ქუჩების შუაშია მოქცეული, გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში კირქვის მოპოვების მიზნით აფეთქების შემდეგ დარჩა. გარშემომყოფი ქუჩების მცხოვრებნი აქ ყველანაირ ნაგავს ჰყრიდნენ. ახლოსმცხოვრები მოსახლეობა კი წუხდებოდა, სიბინძურისა, შემაწუხებელი სუნის, მღრღნელებისა თუ მწერების მომრავლების გამო. ამაზე სულ მუდამ ჩიოდნენ როგორც ჩვეთან - რედაქციაში, ასევე შესაბამის სამსახურებში: კომუნალური მომსახურების სამმართველოში თუ ქალაქის საბჭოში, მაგრამ ჯეროვან ყურადღებას არავინ აქცევდა. ის კი არა და, 1977 წელს, საქალაქო საბჭოს სესიაზე, სადაც მე დეპუტატი გახლდით, დავაყენე საკითხი ამ ტერიტორიის გაწმენდის და აქ პატარა, ლამაზი სკვერის მოწყობის შესახებ. ძალიან ლამაზი მდებარეობა ოყო: ცალი მხრიდან ვაკე შესასვლელი ჰქონდა ტაფობს, მეორე მხარე კი საკმაოდ მაღალი ფრიალო კირქვის კლდით იყო შემოფარგლული, რომელზეც ხელოვნური ჩანჩქერის გაკეთება მიმზიდველს და ლამაზს გახდიდა ამ ადგილს. აქ დაირგვებოდა როგორც წიწვოვანი და ფოთლოვანი დიდრონი ხეები, ასევე ჯუჯა მცენარეები და ყვავილები. წარმოვიდგენდი, როგორ მოვიყრიდით აქ თავს მიმდებარე ქუჩის მცხოვრებნი შვილებთან, შვილიშვილებთან ერთად, მაგრამ... არასოდეს იყო თანხები ასეთი „ფუფუნებისთვის.“ თანაც, მაშინ იდეები ზევიდან მოდიოდა, ქვემოთ ხალხმა რა იცოდა , ან ვინ რას ეკითხებოდა?! მერე, როცა ძალიან შეწუხდნენ ახლოს მცხოვრები ოჯახები, ცხონებულმა კოტე ლოლაშვილმა (საგზაო სამმართველოს უფროსი გახლდათ) ტექნიკა მოიყვანა, ნაგავი გადახვეტა და ზედ მიწა მიაყარა. ხალხმა კი თავისი არ დაიშალა, ცოტა ხანს შეიკავა თავი და მერე ისევ ხელახლა დაიწყო პროცესი, ისევ აივსო ნაგვით იქაურობა. მაშინ ქალაქში ოფიციალური ნაგავსაყრელი არც კი არსებობდა, ლეტნიკის და ანძის მიმდებარე ტერიტორიაზე ასე ღიად და სპონტანურად იყრებოდა ყოველგვარი ნარჩენი. მისასვლელი გზა რომ გადაიტვირთებოდა და ჩაიხერგებოდა, კომუნალური სამსახური გრეიდერს გაატარებდა და მიხვეტავდა ნაგავს. შებილიც არაერთხელ მიხვეტ-მოხვეტა კომუნალურმა. გამორჩეულად აქტიურობდა კომუნალური, როცა მისი უფროსი ბიძინა პაპაშვილი იყო, რადგან ისიც მიმდებარე ტერიტორიაზე ცხოვრობდა, მის თვალწინ ხდებოდა ეს ყველაფერი და მასაც აწუხებდა. ასე იყო თუ ისე, ამ 45 წლის მანძილზე ჩემს თვალწინ ეს შებილი ამოივსო, მიწაც ისევ გადააყარეს, მერე ზოგმა შემოფარგლა და ხეხილი ჩაყარა, ზოგმა სათავსო ჩადგა, მაგრამ დარჩა ერთი მხარე, სადაც ქალაქის ზოგიერთი „პატრიოტი“ ამ ჩვევას ვერ ელევა და დღესაც ყრის ნაგავს, საქონლის ფუნას და გამოცვლილ საყოფაცხოვრებო ტექნიკას. გარშემომცხოვრებნი კი ისევ ისე წუხან სუნის და სიბინძურის გამო, როგორც უწინ. საინტერესოა , ვინმე გადამთიელი ხომ არ მოდის, ისევ მიმდებარე ქუჩის მცხოვრებნი ჰყრიან ნაგავს და ერთმანეთს ანგარიშს არ უწევენ. ყველა ერთმანეთისკენ იშვერს ხელს და პასუხისმგებლობას გაურბის. ფაქტი კი ფაქტად რჩება. ეს ამხელა ისტორია იმიტომ მოვყევი, რომ ერთხელ კიდევ დამენახვებინა ჩვენი მკითხველისთვის, როგორი კულტურის ადამიანები ვართ, როგორი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა გვაქვს, რომ წლები მიდის და ჩვენ არ ვიცვლებით, ვერა და ვერ გავითავისეთ, რომ ყოველი გოჯი მიწა თითოეულ ჩვენგანს ეკუთვნის და მასზე ისე უნდა ვიზრუნოთ, როგორც საკუთარ ეზო-კარ-მიდამოზე. არც იმან გვიშველა, რომ უკვე რამდენიმე წელია, ქუჩებში სანაგვე ბუნკერები დაიდგა, არც იმან, რომ აგერ ახლახანს ძველი ნაგავსაყრელის სრული რეკონსტრუქცია მოხდა და ჩვენ მივიღეთ ევროპული დონის და სტანდარტების ნაგავსაყრელი. მიუხედავად იმისა,რომ „სერვისი-2007“ შეძლებისდაგვარად ცდილობს, ბუნკერები დროულად დაცალოს, თვალი დახუჭოს იმაზეც, რომ ბუნკერში საყოფაცხოვრებო ნარჩენების გარდა ხშირად ყრია საქონლის და საფრინველის ანახვეტი, რაც დარღვევაა, მოსახლეობა მაინც უხეშად იქცევა: თვითნებურად ქმნის პატარ-პატარა ნაგავსაყრელებს, ან სულაც, ქუჩაში ახვავებს ნაგავს და ბუნკერამდეც კი არ მიდის. ბევრჯერ გვინახავს, ქუჩაში მიმავალი მანქანიდან როგორ ყრიან ცარიელ ბოთლებს და ლუდის ქილებს, ანდა ფეხით მოსიარულე ქუჩაში გზადაგზა ნაყინს მიირთმევს, ან სვამს გამაგრილებელ სითხეს, ქაღალდს და ბოთლს კი ნებისმიერ ადგილზე აგდებს. ნუთუ ძნელია, ცარიელი ჭურჭელი, ქაღალდი თუ სხვა რამ ურნამდე მივიყოლოთ და შიგ ჩავაგდოთ?! ესეც ქონებასა და სიმდიდრეზე ხომ არ არის დამოკიდებული, ეს ხომ ელემენტალური მოქალაქეობრივი თითშეგნების ქონაა. ამის ცოდნა, მიხვედრა და ჩვევაში გადაყვანა განა ასე ძნელია?! კიდევ სხვა თემაა ქალაქში უპატრონოდ გაშვებული საქონლისა და ძაღლების თარეში, რომელზეც ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია. ახლა ვნახოთ, რა ბერკეტები გვაქვს ამ საკითხში წერიგის დასამყარებლად:

ნარჩენების მართვის კოდექსის მიხედვით, დამნაშავე ან ვიდეოთვალმა უნდა დააფიქსიროს, ან მოქალაქემ გაამყაროს ფოტომასალით, რომ ზედამხედველობის სამსახურმა იხელმძღვანელოს, როგორც ნივთმტკიცებით მომჩივანთა განცხადებასთან ერთად. ეს გახდება სანქციის გატარების საფუძველი, რომელიც პირველ ეტაპზე გაფრთხილებას ითვალისწინებს, შემდეგ ჯერზე კი- ჯარიმას.

როგორც ვხედავთ, კანონი უფრო ცივილური ქვეყნების მეთოდებზეა აგებული. ჩვენ კი არც ვიდეოთვალი გვაქვს და არც ვინმე ჩაუსაფრდება მეზობელს ფოტოაპარატით. ისე რომ, ისევ ვრჩებით ჩვენი სინდისის და შეგნების ამარა. გავითავისოთ და შევასრულოთ ერთი უბრალო ჭეშმარიტება: გვიყვარდეს და გავუფრთხილდეთ ჩვენს გარემოს ისე, როგორც საკუთარ ეზო-კარმიდამოს. ნუ დავანაგვიანებთ და ნუ შევაწუხებთ მეზობლებსა და გარშემომყოფებს ჩვენი დაუდევრობით და უპასუხისმგებლობით. ვისწავლოთ რეჟიმით ცხოვრება.

ნაირა გორაშვილი



# საქართველოს საბაჟო საზღვარზე გენმოდიფიცირებული პროდუქტის კონტროლი განხორციელდება

სურსათში გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების პრევენციის მიზნით, საქართველოს საბაჟო საზღვრებზე სასურსათოდ გამოსაყენებელი გენმოდიფიცირებული პროდუქციის კონტროლი განხორციელდება. ამის შესახებ შემოსავლების სამსახურის აპარატის უფროსმა ხატია მოისწრაფიშვილმა განაცხადა.

მოისწრაფიშვილის განმარტებით, გენმოდიფიცირებულ ცოცხალ ორგანიზმად ითვლება ის ცოცხალი ორგანიზმი, რომელსაც აქვს გამრავლების, ან გენეტიკური მასალის გადაცემის უნარი. ასევე საუბარია ძირითადად სათესლე და სანერგე მასალებზე, მაგრამ აქვე იგულისხმება ის ხილი და ბოსტნეული, რომელსაც აქვს ასევე გამრავლების უნარი.



„პირველ ივლისს ამოქმედდა კანონი გენმოდიფიცირებული სურსათის ეტიკეტირების წესების შესახებ. ამ კანონის მიხედვით, შემუშავებულია ფინანსთა მინისტრის ბრძანების პროექტი, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა საქართველოს საბაჟოს საზღვრებზე ამ ტიპის სურსათის სასაზღვრო კონტროლის წესი. ამ წესის მიხედვით, საბაჟო კონტროლს დაექვემდებარება ყველა პროდუქტი, რომელიც გადმოკვეთს საქართველოს საბაჟო საზღვარს და მასზე უნდა იყოს მითითებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის შესახებ სპეციალური ნიშანდება. თუ ასეთი ნიშანდება არ არის, ეს უნდა დასტურდებოდეს დოკუმენტების მიხედვით, რომ არ შეიცავს ეს პროდუქტი გენმოდიფიცირებულ ორგანიზმებს. სხვა შემთხვევაში, ასეთი პროდუქტი მოხვდება რისკის პროდუქტში და გადაეგზავნება ლაბორატორიაში კვლევაზე“, - განაცხადა ხატია მოისწრაფიშვილმა.

მისივე თქმით, საქართველოს საბაჟო საზღვარზე გაკონტროლდება ყველა ის პროდუქტი, რომელიც შემოვა იმპორტის სახით.

# ავტოსადგურების მოწესრიგებასთან დაკავშირებით შესაბამისი კანონპროექტი მომზადდა



საქართველოს მასშტაბით ავტოსადგურების მოწესრიგებასთან დაკავშირებით, შესაბამისი კანონპროექტი უკვე მომზადებულია, - ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ, ნათია მიქელაძემ განაცხადა.

მისი თქმით, კანონპროექტი მზად არის, მისი წარდგენა შემოდგომის სესიაზე მოხდება და განხილვა დაიწყება. “ამ კანონის მიღების შემდეგ ეფექტი ძალიან დიდი იქნება. პირველ რიგში, მოწესრიგდება ეს დარგი - ავტოსადგურები. იქნება რამდენიმე კლასის ავტოსადგური. მათი კლასებიდან გამომდინარე, მოხდება შესაბამისი სერტიფიცირება. ეს უზრუნველყოფს იმას, რომ მგზავრები უსაფრთხოდ და კომფორტულად გრძნობდნენ თავს ავტოსადგურების მომსახურებით სარგებლობისას”, - განაცხადა მიქელაძემ

# კრიზისი საბერძნეთში და მსოფლიო ეკონომიკა

## რა დგას „ტროიკასა“ და საბერძნეთის მთავრობას შორის არსებული დაპირისპირების მიღმა

2008-2009 წლების მსოფლიო ფინანსურმა და ეკონომიკურმა კრიზისმა საბერძნეთის ეკონომიკას განსაკუთრებით მძიმე დარტყმა მიაყენა. ამის საპასუხოდ, 2010 წელს ევროკომისიამ, ევროპის ცენტრალურმა ბანკმა და საერთაშორისო სავალუტო ფონდმა (შემდეგში ცნობილმა, როგორც „ტროიკამ“) შეიმუშავეს გადარჩენის (Bailout) პროგრამა, რომლის მთავარი წინაპირობა უნდა ყოფილიყო სახელმწიფო ხარჯების შემცირება საბერძნეთში. ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელიც ორიენტირებულია სახელმწიფო ხარჯების შემცირებაზე, უწოდებენ ფისკალურ კონსერვატიზმს ან მეორენაირად „ქამრების შემოჭერის პოლიტიკას“ (ინგლ. “Austerity Measures”). ამ პოლიტიკას საბერძნეთი პირველ ეტაპზე დაემორჩილა კიდეც და შედეგად ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობა, გაუმჯობესების ნაცვლად, უფრო მეტად გამწვავდა.

2015 წლის 25 იანვრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, საბერძნეთის სათავეში მემარცხენე პარტია „სირიზა“ მოვიდა. „სირიზას“ ლიდერი ალექსის ციპრასი საბერძნეთის პრემიერ-მინისტრი გახდა. მისი მთავარი დაპირება მდგომარეობდა იმაში, რომ საბერძნეთი „ტროიკის“ მოთხოვნებს არ უნდა დამორჩილებოდა და ახალ მთავრობას ბოლო უნდა მოეღო „ქამრების შემოჭერის პოლიტიკისთვის“. თავის მხრივ, „ტროიკაც“ ჯიუტად არ იხევს უკან და საბერძნეთისგან, ვალის მიღების სანაცვლოდ, მორჩილებას მოითხოვს. სიტუაცია უკვე იქამდე გამწვავდა, რომ 5 ივლისს ბერძნებმა საყოველთაო რეფერენდუმის გზით გადაწყვიტეს, უნდა მიეღოთ თუ არა „ტროიკის“ შეთავაზება. მათ ამ შეთავაზებას ერთხმად უთხრეს „არა“.

ამ დროისთვის საბერძნეთსა და „ტროიკას“ შორის წარმოქმნილ უთანხმოებაში თითქმის ყველა წონიანი მემარცხენე ინტელექტუალი და ეკონომისტი საბერძნეთის მხარეს დგას, მემარჯვენეები ძირითადად „ტროიკის“ მოთხოვნებს ეთანხმებიან. საქართველოში მემარცხენე-მემარჯვენე დისკურსი მაინცდამაინც განვითარებული არ არის და, აქედან გამომდინარე, უთანხმოების მიზეზი კარგად გაანალიზებული არ არის. საბერძნეთსა და „ტროიკას“ შორის არსებულ უთანხმოებას საქართველოში ძირითადად ისევ „დასავლეთი-რუსეთის დაპირისპირების“ ჭრილში უყურებენ. ვინაიდან ევროკავშირიდან საბერძნეთის გასვლა ავტომატურად ევროკავშირის დასუსტებას ნიშნავს, ბევრმა ქართველმა „ტროიკის“ პოზიცია დაიკავა და საბერძნეთის კრიტიკას მიჰყო ხელი. ზოგ შემთხვევაში საქმე იქამდე მივიდა, რომ ბერძნებს „მეორე რიგის ევროპელები“ უწოდეს და ბერძენი ხალხი და მათი მთავრობა სხვადასხვა რასისტული ეპითეტებით შეამკეს. ასევე გაისმა სრულიად აბსურდული ბრალდებაც, რომ თითქოს ბერძნები ზარმაცები არიან და ცოტას მუშაობენ (ამ ბრალდებას მთლიანად უარყოფს რეალური სტატისტიკური მონაცემები). ერთი სიტყვით, უთანხმოების პოლიტიკურ-ეკონომიკური ასპექტი მთლიანად გადაიფარა ამგვარი კოლონიალისტური და ზოგჯერ, რასისტული დისკურსით.

რეალური პრობლემა, პოლიტიკურ-ეკონომიკურია და მის გასაგებად აუცილებელია ვიცოდეთ, ვის რა ეკონომიკური ინტერესები ამოძრავებს. „ტროიკის“ ინტერესი იმაში მდგომარეობს, რომ შეინარჩუნოს ევროს სტაბილურობა და დაიცვას ინვესტორების ინტერესი. საბერძნეთის მთავრობა ცდილობს, თავისი მოქალაქეებისთვის სამუშაო ადგილები და ხელფასები გარანტირებული იყოს. კრიზისიდან ისე გამოსვლა, რომ ამან სამუშაო ადგილები და მოქალაქეების შემოსავლების დიდი ნაწილი არ შეიწიროს, სახელმწიფო ხარჯების გაზრდაა. ეს უკვე იმდენად მიღებული ჭეშმარიტებაა, რომ ამერიკის მემარჯვენე კონსერვატორმა მთავრობამ და ბუშმაც კი, 2008 წელს მასობრივი ფინანსური ხსნის პროგრამა (Bailout) განახორციელეს, იმის ნაცვლად, რომ სახელმწიფო ხარჯები შეემცირებინათ. ბევრი სერიოზული ამერიკელი ეკონომისტი თვლის, რომ ეს იყო ერთადერთი გზა კრიზისიდან ისე გამოსასვლელად, რომ სოციალური ფონი საგრძნობლად არ გაუარესებულიყო. მაგალითად, პრინსტონის უნივერსიტეტის ეკონომიკის პროფესორის, ალან ბლაინდერის და Moody’s Analytics-ის მთავარი ეკონომისტის, მარკ ზენდლის ანალიზის მიხედვით, რომ არა სახელმწიფო ხარჯები, ამერიკის ეკონომიკა დღეს გაცილებით უფრო მძიმე მდგომარეობაში იქნებოდა. ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომისტები, პოლ კრუგმანი და ჯოზეფ სტიგლიცი ანალოგიურად თვლიან, რომ საბერძნეთის ეკონომიკისთვისაც „ქამრების შემოჭერის პოლიტიკამ“ კრიზისი უფრო მეტად გაამწვავა. ერთი სიტყვით, წონიანი ეკონომისტებისაზრით, ეკონომიკური კრიზისის დროს სახელმწიფო ხარჯების გაზრდა ეკონომიკის გაზრდას ხელს უწყობს.

თუ ამერიკის მემარჯვენე კონსერვატორ პრეზიდენტსაც და მის ადმინისტრაციასაც კი გააზრებული ჰქონდა, რომ კრიზისის დროს სახელმწიფო ხარჯების გაზრდის გარეშე შეუძლებელი იყო ეკონომიკის გადარჩენა, მაშინ რატომ არ აქვს ეს გააზრებული „ტროიკას“? საქმე ის არის, რომ „ტროიკას“ ამ შემთხვევაში ქვეყანაში არსებული სოციალური ფონის გაუმჯობესება კი არა, უფრო მეტად ფინანსური ბაზრის სტაბილურობა, ევროს სტაბილურობა და ინფლაციის კონტროლი აინტერესებს. რა თქმა უნდა, ეს ლეგიტიმური მიზნებია, მაგრამ ამავე დროს არსებობს გარდაუვალი არჩევანი, რომლის გაკეთებაც კრიზისულ სიტუაციაში ყველა მთავრობას უწევს. ყველა ეკონომიკურ მიზანს ერთდროულად ვერ მიაღწევ, ამიტომ, მთავრობები ირჩევენ ისეთ მიზანს, რომლის მიღწევაც ყველაზე მეტად იმოქმედებს რიგით მოქალაქეებზე და სამუშაო ადგილებზე. საერთაშორისო სავალუტო ფონდი დიდი ხანია, რაც შემჩნეულია უბრალო მოქალაქეების ინტერესების უგულებელყოფაში (ამაზე ყველაზე სერიოზული ნაშრომი ეკუთვნის ზემოთნახსენებ ჯოზეფ სტიგლიცს, ნობელის პრემიის ლაურეატს ეკონომიკაში. ამ ნაშრომს ჰქვია „გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება“ და ქართულადაც არის გამოცემული „რადარამის“ მიერ). მაგრამ რა დაემართა ევროკომისიას და ევროპის ცენტრალურ ბანკს? საქმე ის არის, რომ ევროკავშირის ინსტიტუტები იმდენად არიან დაშორებული ამომრჩეველს (იქიდან გამომდინარე, რომ მათ რეალური კავშირი ამომრჩეველთან ინსტიტუციურ და სამართლებრივ დონეზეც არ აქვთ), რომ ე.წ. ტექნოკრატიულ ინსტიტუტებად ჩამოყალიბდნენ. ტექნოკრატი ეწოდება მოხელეს, რომელიც ექსპერტულ ცოდნას (მაგალითად, ეკონომიკაში, ურბანისტიკაში, ჯანდაცვის სფეროში და ა.შ.) იყენებს იმისთვის, რომ საზოგადოებისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებები მიიღოს. ამავე დროს, გაუგებარია რას ნიშნავს ფრაზა „საზოგადოებისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებები“. ყველამ იცის, რომ პოლიტიკა აუცილებელ მსხვერპლშეწირვას მოითხოვს - ყველას ინტერესს ერთდროულად ვერ დააკმაყოფილებ, მოცემულ მომენტში აუცილებლად ვიღაცის ინტერესი უფრო მნიშვნელოვანი იქნება გადაწყვეტილების მიღებისთვის. ამ შემთხვევაში ისე გამოვიდა, რომ „ევროტექნოკრატებისთვის“ მსხვილი ინვესტორების და ფინანსური ინსტიტუტების ინტერესები პირველ პლანზე დადგა და ნაკლებად პრივილეგირებული ქვეყნებისა და მათი მოქალაქეების - მეორე პლანზე.

ძნელი სათქმელია, რით დამთავრდება დაპირისპირება საბერძნეთსა და „ტროიკას“ შორის, ერთი რამ ცხადია, საბერძნეთმა თავისი არჩევანი უკვე გააკეთა და „ტროიკას“ დაფიქრებისკენ მოუწოდა.

ეკონომიკის ექსპერტი **ემზარ ჯგერენაია** ამბობს, რომ ევროპას მაინც მოუწევს საბერძნეთის ვალების დაფარვა:

„მანდატით გაგულიანებული საბერძნეთის პრემიერ-მინსტრი ციპრასი არაფრის დათმობას არ აპირებს. ევროპარლამენტში გამოსვლისას მან მგზნებარედ კი ილაპარაკა, მაგრამ ევროკავშირისთვის მას არაფერი კონკრეტული არ შეუთავაზებია. ალბათ, მკაცრი რეფორმების დაწყებას საბერძნეთის ეს მთავრობა ვერ შეძლებს.

რაც უნდა მაქსიმალურ დათმობაზე წავიდეს ევროპა, მას მოუწევს საბერძნეთის ვალების დაფინანსების გაგრძელება. ევროპას ძალიან არ უნდა, რომ მათი რიგებიდან საბერძნეთი გავიდეს. ჯერჯერობით, არანაირი ნიშანწყალი არ ჩანს იმისა, რომ საბერძნეთი ევროკავშირს ალტერნატივის სახით მოქმედების რაიმე რაციონალურ გეგმას შესთავაზებს. ვიმეორებ, ციპრასი ევროპარლამენტში მგზნებარედ კი გამოვიდა, პოპულისტური აზრები აფრქვია, მაგრამ საქმეზე კონკრეტულად არც უსაუბრია.

**- საბერძნეთის პრემიერმა ევროპარლამენტში გამოსვლისას განაცხადა - “სესხების უმეტესი ნაწილი საბერძნეთამდე არც ჩამოსულა”. იმის გათვალისწინებით, რომ ევროპელი ჩინოვნიკების კორუმპირობულობაზე ინფორმაცია ხშირად ვრცელდება, ლოგიკურია, კითხვა ასე დაისვას - ამ მხრივ ჩვენთან როგორაა საქმე?**

- განცხადება იმის თაობაზე, რომ სესხები საბერძნეთამდე არც ჩასულა, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს თანხები გზაზე ვიღაცამ “მოტეხა”. ეს ნიშნავს იმას, რომ სესხების უმრავლესობა რეფინანსირების მომსახურებითვის იყო განკუთვნილი, ანუ იმისთვის, რასაც ახლა ითხოვენ. საბერძნეთს გერმანიის ბანკების 56 მილიარდი ვალი აქვს. ვთქვათ, გერმანიის ბანკმა საბერძნეთს მისცა 20 მილიარდი, აქედან 12 მილიარდი მოხმარდა წინა სესხის მომსახურებას, ანუ საბერძნეთში რეალურად ჩავიდა 8 მილიარდი. რეალურად ასეთი ვითარებაა და საუბარი არ არის იმაზე, რომ ვიღაცამ საბერძნეთს ფინანსები მოუტეხა. ჩვეთან სხვადასხვა პროექტებისათვის გათვალისწინებული სესხები რა თქმა უნდა, სრულად ჩამოდის. სხვაგვარად წარმოუდგენელია.

**- ბევრი გამოთქვამს ვარაუდს, რომ რუსეთი ისარგებლებს ევროკავშირის სისუსტით და საბერძნეთის მიმართულებით სერიოზულ ნაბიჯებს გადადგამს. რუსეთში დღეს არსებული ეკონომიკური სიტუაციის გათვალისწინებით ამგვარი რამ თითქმის წარმოუდგენელია. თქვენი აზრით, რა ნაბიჯები შეიძლება გადადგას რუსეთმა საბერძნეთის მიმართულებით და სავარაუდოდ რა ეკონომიკური და პოლიტიკური შედეგები შეიძლება მოჰყვეს მათ?**

- რუსეთი ვერანაირ სერიოზულ ნაბიჯებს ვერ გადადგამს, ვინაიდან ახლა თავადაც საკმაოზე მეტად უჭირს. გარდა ამისა, ჩემი აზრით, რუსეთს საბერძნეთის დახმარების არც სურვილი არა აქვს. ერთადერთი, რაც რუსეთის ბიზნესმენებმა შეიძლება გააკეთონ, ეს საბერძნეთში გაიაფებული უძრავი ქონების შეძენაა. ამას ახლა რეალურად კი აკეთებენ, მაგრამ სხვა რაიმე სერიოზული გეგმები მათ საბერძნეთთან მიმართებაში არც შეიძლება ჰქონდეთ. რუსეთი ბევრს საუბრობას მისი გაზის ევროპაში გაზის ექსპორტის სქემაში საბერძნეთის ჩასმაზე, მაგრამ არა მგონია, რომ მათ ამ მიმართულებითაც შეძლონ რაიმე ხელშესახების გაკეთება.

**- რუსული საინფორმაციო წყაროებმა გააქტიურეს საუბარი, რომ BRIC-is (“ბრიკსის”) ქვეყნები (ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი) ცდილობენ მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ანალოგიური სტრუქტურების შექმნას. რამდენად დიდია ალბათობა, რომ ამ ქვეყნებმა შეძლონ უკვე არსებული საერთაშორისო ფინანსური სტრუქტურების პარალელური სტრუქტურების შექმნა? თუ კი, რა პროცესებს გამოიწვევს ამგვარი რამის განხორციელება ეკონომიკაში და, შესაბამისად პოლიტიკაში?**

- პრაქტიკულად, “ბრიკსის” ქვეყნებმა ეს უკვე შეძლეს. მხედველობაში მაქვს აზიის ინფრასტრუქტურული განვითარების ბანკის დაფუძნება. იგი ახალ მსოფლიო ბანკადაც კი მოინათლა. მასში არ არიან გაერთიანებული აშშ და იაპონია. ევროპის ყველა ქვეყანა მისი წევრია. ჩემი აზრით, მსოფლიოს საფინანსო ბაზარზე აზიის ინფრასტრუქტურის ბანკი ერთ-ერთი სერიოზული მოთამაშე იქნება. სავალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკს საკმაოდ დიდი მანდატი აქვთ. მათ ქვეყნების უმრავლესობისთვის რეფორმირებისა, თუ სუბსიდირების კუთხით ტექნიკური პირობები აქვთ წაყენებული. აზიის ინფრასტრუქტურის ბანკს კი ჯერ ასეთი მანდატი არ აქვს. დრო აჩვენებს მოქმედებისა და ქვეყნებთან ურთიერთობის რა კურს აირჩევს ახალ მსოფლიო ბანკად მონათლული აზიის ინფრასტრუქტურის ბანკი. ეს უახლოეს მომავალში გამოჩნდება. ამ ბანკის სათაო ოფისი ჩინეთშია, იგი უკვე არსებობს და მასთან საქართველოს მიერთებაზე ხელი საქართველოს ფინანსთა მინისტრმა სულ ცოტა ხნის წინ მოაწერა. რაც დრო გადის, ეს ბანკი სულ მეტ ქვეყნებს აერთიანებს. ამას წინათ გავრცელდა ინფორმაცია, რომ მის წევრობაზე განცხადება ინგლისმაც კი შეიტანა.

***საბერძნეთის კრიზისმა საქართველოს მოქალაქეებზე უკვე ჰპოვა ასახვა. იქ სამუშაოდ წასული ქართველები ფულის გამოგზავნას ველარ ახერხებენ, სამომავლო პერსპექტივა კი გაცილებით უიმედოა- ბევრი მათგანი, შესაძლოა, სამუშაოს გარეშე დარჩეს და უკან თუ ვერ დაბრუნდება, სხვა ქვეყნებში მოუწევს სამსახურის საძიებლად წასვლა.***

*მასალა მოამზადა*
**ინგა შიოლაშვილმა**

ხსოვნა

## ნუგზარ და ბელურა მაჩაბლიშვილები

ვიღებ კალამს, მაგრამ ვშიშობ, ვაი თუ ისეთი თბილი და საამო სიტყვები ვერ დავწერო, თქვენს ავადმყოფ გულებს წამლად რომ დაედოს. შვილო ნუგზარ, შვიდი წელი გავიდა, რაც შენს ტანჯულ დედას სულ თვალწინ უდგას და არ ავიწყდება შენი უკანასკნელი გამოხედვა, სიცოცხლეს რომ ნატრულობდა და მე, შენი უბედური დედა, უძლური ვიყავ. არც მავიწყდება და სიცოცხლის ბოლომდე არ დამავიწყდება ჩვენი განშორება. მერე ეს უძლურება მამაშენის სიკვდილისასაც განვიცადე. თქვენ ორი დიდი ტკივილი ხართ ჩემი ცხოვრების.

მენატრება ის დრო, როცა ივლისის დადგომა ასე გვახარებდა მთელს ოჯახს. რადგან, 10 ივლისი მამაშენის, ხოლო 12 ივლისი შენი დაბადების დღეები იყო. ახლა კი სევდის და მონატრების გაუსაძლისი გრძნობა მეუფლება ივლისის დადგომისას. ცრემლებით გიგონებთ შენც და ბელურასაც. მოგტირით და სულ იმას ვნატრობ, როდის ახდება ჩემი ოცნება, როდის მოვალ თქვენთან... დაბადების დღეებს გილოცავთ, ჩემო ძვირფასებო.

ციცინო გონაშვილი

# ფიროსმანის „მარტოობის დღესასწაული“

26 ივნისს, დედოფლისწყაროს კულტურის სახლთან არსებული ახალგაზრდული თეატრი „ბერიკონი“ მაყურებლის წინაშე კიდევ ერთი პრემიერით წარსდგა. „მარტოობის დღესასწაული“ — ამბავი ნიკო ფიროსმანისა, რევაზ ინანიშვილის მოთხრობის მიხედვით რეჟისორმა ცარო მარტიაშვილმა დადგა. ახალბედა მსახიობები ეცადნენ მირზაანელი მხატვრის ცხოვრება სცენაზე გაეცოცხლებინათ.

სპექტაკლის ბოლოს, თეატრის რეჟისორმა ცარო მარტიაშვილმა იმ „ბერიკონელებს“, რომლებმაც საჯარო სკოლა დაამთავრეს და გამოემშვიდობნენ თეატრს, სამახსოვრო ფასიანი საჩუქრები გადასცა. ესენი არიან: ნათია ლატარია, ლიკა ლოლაშვილი, ნიკა შანშიაშვილი და თორღვა ცისკარაული.



მათ წაიკითხეს ნაწყვეტები სპექტაკლიდან „სტუმარ—მასპინძელი“.

პრემიერაზე, სპეციალური მოწვევით სტუმრად იმყოფებოდა ქ.თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობი ზურაბ შარია.

„სიამოვნებით მივიღე მოწვევა და დედოფლისწყაროში „ბერიკონის“ მორიგ პრემიერას დავესწარი. ადრე, მათ სპექტაკლს „სტუმარ-მასპინძელი“ თბილისში პროფკავშირების სასახლეში ვესწრებოდი და ძალიან საინტერესო გადაწყვეტა იყო, ბავშვებიც კარგად თამაშობდნენ. დღევანდელი სპექტაკლის გადაწყვეტაც ძალიან მომეწონა. მისასალმებელია „ბერიკონის“ დამოკიდებულება ხელოვნების და ჩვენი ქვეყნის მიმართ. ძალიან მომწონს, მხარს ვუჭერ და კიდევ დიდ წარმატებებს ვუსურვებ ამ ახალგაზრდებს,“ - აღნიშნა ზურაბ შარიამ.

ცარო მარტიაშვილი: (რეჟისორი): „ფიროსმანი არის ჩვენი თანამედამული, ქიზიყელი კაცი, ის ჩვენია და სწორედ ჩვენ უნდა გაგვეკეთებინა ეს სპექტაკლი. საერთოდ, ფიროსმანზე 30 წლის წინ მარჯანიშვილის თეატრში რომ დაიდგა სპექტაკლი, შემდეგ გიორგი შენგელაიამ ფილმი გადაიღო და მერე „ივერიამ“ მიუზიკლი დადგა, მეტი არაფერი გაკეთებულა და რუსთაველის თეატრშიც იყო ძალიან ადრე და ამ ვაკუუმის შევსება გვინდოდა. ბავშვებმა, მომავალმა თაობამ არ იცის, ვინ იყო, რა იყო ფიროსმანი. ჩვენი მიზანი ერთგვარი პოპულარიზაციაც გახლდათ, შევეჭიდეთ ფიროსმანის თემას და როგორ გამოგვივიდა, ნამდვილად არ ვიცი. გვაქვს ძალიან ბევრი გეგმა, მაგრამ ახლა არაფრის დაკონკრეტება არ შემიძლია. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ჩვენი დიდი ხნის ოცნებაა შექსპირს შევეჭიდოთ და „რომეო და ჯულიეტა“ დავდგათ, შევძლებთ თუ არა და რამდენად მოხერხდება, ჯერ ვერ გეტყვით.“

„ნიკალა უბრალო კაცი არ იყო, ამიტომ ეს როლი ძალიან რთული იყო ჩემთვის, რადგან ბევრი დადებითი მხარე ჰქონდა, ცოტა გამიჭირდა, მაგრამ საშუალება მომეცა ფიროსმანის ადგილას წარმომედგინა საკუთარი თავი. გავიგე ვინ იყო სინამდვილეში ფიროსმანი და რაც არ ვიცოდი ყველაფერი გავიგე და მაყურებელსაც დავანახე იგი. ზოგადად, დედოფლისწყარო თეატრს მოკლებული იყო და ჩვენ შევძელით ერთი გუნდი შეგვექმნა, რომელიც ამ ვაკუუმს შეავსებდა. ბევრი ახალგაზრდა გააქტიურდა და ჩაერთო ამ თეატრში,“ - აღნიშნა მთავარი როლის შემსრულებელმა თორღვა ნაროზაულმა.




„სცენაზე დიდი ხანია ვდგავარ, მაგრამ სიმართლე გითხრათ, მარგარიტა ჩემი საოცნებო როლი იყო და როგორც კი „ფიროსმანი“ახსენეს, სულ მინდოდა ეს როლი მეთამაშა. შემდეგ უკვე რეჟისორმა გადაწყვიტა, რომ ჩემი ტიპაჟი მარგარიტას მოუხდებოდა და ამ როლზე ამიყვანეს. რა თქმა უნდა, ძალიან გამიხარდა და ბედნიერი ვიყავი. ძალიან ვნერვიულობდი, რადგან ბოლო წარმოდგენა იყო ჩემთვის. იმედია, მომავალშიც გავაგრძელებ ამ სფეროში. იქიდან გამომდინარე, რომ ამ თეატრში სხვადასხვა სკოლებიდან ვართ ბავშვები თავმოყრილი, ბევრი ახალი მეგობარი შევიძინეთ, ერთმანეთთან უფრო დავახლოვდით,“ - აცხადებს თამარ წიკლაური.

„როლში შესვლა არ გამჭირვებია, მაგრამ მაქსიმალურად ვცდილობდი უფრო დამაჯერებლად და სრულყოფილად შემესრულებინა ჩემი პერსონაჟი. თეატრში ჩვენი ყოფნა ნაყოფიერია იმითაც, რომ ბევრი ახალი მეგობარი შევიძინეთ და ბევრ ახალ მოთხრობას ვკითხულობთ, სხვადასხვა ტრადიციებს და ისტორიას უფრო ღრმად ვეცნობით“ - ამბობს ნიკა ყაჭაშვილი.

სპექტაკლში მონაწილე მოქმედი პირები და შემსრულებლები:

ფიროსმანი — თორღვა ნაროზაული; ია — ანა ლოლაშვილი; მარგარიტა — თამუნა წიკლაური; შეძლებული გლეხი — გიორგი ბენაშვილი; მეთევზე — სოსო კიკილაშვილი; მეეზოვე — აბრაამ ახალაური; გოგონა ბუშტით — მალვინა ისმაილოვა; თავადები — ვაჟა ჯანაშვილი, ნიკა ყაჭაშვილი და ლაშა ლათიბაშვილი; მხატვარი —თორნიკე აფციაური; მუზები: თათია ცისკარაული, მარიამ ლოლაშვილი, ლიკა ბახუტაშვილი, კატო გვენეტაძე, ანა დავითაშვილი, თაკო ხუციშვილი.

რაც შეეხება შემოქმედებით ჯგუფს: მხატვარი — გია ყაჭაშვილი, მუსიკალური გაფორმება — მამუკა უთრუთაშვილს ეკუთვნის, განათება — ვარლამ ქადაგიძეს, გრიმი — სოფიო კირვალიძეს და გია ყაჭაშვილს, კოსტიუმები — მანანა ნაროზაულს, ტექნიკური რეჟისორი კი ლია მაისურაძე გახლდათ. სპექტაკლი იყო საქველმოქმედო.შემოსული თანხა გადაირიცხება 13 ივნისის ტრაგედიის დროს დაზარალებულთა ფონდში.

და ბოლოს, ჩემი, როგორც ერთი რიგითი მაყურებლის ემოციასაც გაგიმხელთ, რომ წინა სპექტაკლებთან შედარებით პროგრესი ნამდვილად შევნიშნე.

ილია მარტყოფლიშვილი

## ულოცავენ!

**დავით (დაჩი), თემური, გიორგი ოზბეთელაშვილებს!**

ვულოცავ დაბადების დღეს!
გულის გულში რომ მიზიხართ
დავით, თემური, გიორგი,
მუდამ თქვენს მოლოდინში ვარ
გფარავდეთ წმინდა გიორგი.
თქვენ მჩუქნით ულევ სიხარულს
ბიჭები მეავხართ მაგარი.
მეტი რა უნდა ბებოს გულს,
გული სამღერად მზად არის.
დაბადების დღეს გილოცავთ
სამივეს ერთად, მმებო,
ლამაზი შვილიშვილები
დიდხანს მიცოცხლე ღმერთო.

**თქვენი ბებო** ქეთევან ოზბეთელაშვილი

## მადლიერება

გაზეთ „შირაქის“ საშუალებით მინდა ულრმესი მადლობა გადავუხადო დედოფლისწყაროს რაიონული პოლიკლინიკის პედიატრს ლია ხუციშვილს იმ დიდი ყურადღებისათვის, რაც ჩემი შვილიშვილის ბარბარეს მიმართ გამოიჩინა. გლოცავთ მთელი გულით, გიხდით ათიათას მადლობას და გისურვებთ წარმატებებს პირად თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში.

მადლობა საავადმყოფოს მომსახურე პერსონალს, ვინც ასე გაახალისა და გამოაჯანმრთელა ბავშვი.

ნემსისა და წამლის დანახვაზე , სხვებისგან განსხვავებით, კი არ ტიროდა, მთელი შემართებით ხვდებოდა მოვლენებს, თუმცა ეს ხომ თქვენი დამსახურებაა, თქვენმა სითბომ და ალერსმა მოხიბლა პატარა.

დიდი მადლობა ზინა და მანანა ექიმებს, ექთნებს: ეკას, ლელას, აქსანას, მანანასა და ნათიას გაწეული შრომისათვის.

დაე, მუდამ გეკეთებინოთ კეთილი საქმე და დიდხანს ყოფილიყავით დედოფლისწყაროს მოსახლეობის ჯანმრთელობის სადარაჯოზე.

გფარავდეთ უფალი.

ლიანა ბერიძე-წიკლაური.

## ყურადღება!

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრი იწყებს ინტელექტუალური თამაშის **„რა? სად? როდის?“** 2015 წლის შემოდგომა-გაზაფხულის ჩემპიონატს, რომელიც ჩატარდება ყოველი თვის ბოლოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის დარბაზში. პირველი თამაში შედგება 24 ივლისს, 18 საათზე. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრში (კოსტავას ქ. N3) ტელ: 595 09 05 13, 2015 წლის 20 ივლისამდე.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის ადმინისტრაცია.

## იყიდება!

იყიდება აგურის კაპიტალური ბინა ბელეტაჟზე, 6 ოთახი აბაზანით და სამზარეულოთი, საცხოვრებელი ფართი 136კვმ, გარაჟით, სარდაფით, სამეურნეო ნაგებობებით, ბაღით, ტალავერით. საერთო ფართობი 1269 კვმ-ია. ფასი შეთანხმებით.

მისამართი: 9 ძმის ქუჩა, III-ე შესახვევი N5. დარეკეთ:

577 22 32 19. იკითხეთ ლევან იაკობიშვილი.

## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 13.07 | | სამშაბათი 14.07 | | ოთხშაბათი 15.07 | | ხუთშაბათი 16.07 | | პარასკევი 17.07 | | შაბათი 18.07 | | კვირა 19.07 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 21 ° | 20 ° | 23 ° | 22 ° | 26 ° | 23 ° | 24 ° | 20 ° | 20 ° | 19 ° | 20 ° | 19 ° | 20 ° | 19 ° |

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია:
ქალაქი დედოფლისწყარო,
ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ,
№6014-468.

C M Y K